პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „სიო“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

ნიკა ჯიაძე

ია გელენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს „სიო“**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შპს**

საიდენტიფიკაციო კოდი: **212797945**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29.12.2022 N1675762 ბრძანების (ცვლილება 12.01.2023 N16817 ბრძანება)საფუძველზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება შპს „სიოში“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების პირობების შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტის პირველსავე დღეს კოლეჯის დირექტორის N1-03 ბრძანებით კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი განისაზღვრა ექსპერტებთან საკონტაქტო პირად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსის, მათ შორის ბიბლიოთეკის, პრაქტიკის ობიექტების, სასწავლო გარემოს, ადაპტირებული გარემოს და სველი წერტილების დათვალიერება. ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია, მარეგულირებელი დოკუმენტაციის დიდი უმრავლესობა დამტკიცებულია 2022 წლის დასაწყისში. ექსპერტები ვიზიტის დროს გაესაუბრნენ დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

წარმომადგენლებს, მათ შორის კოლეჯის დირექტორს, დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელ პირებს, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე, პერსონალის მართვაზე და განვითრებაზე პასუხისმგებელ პირებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს და საინფორმაციო რესურსებზე პასუხისმგებელ პირებს.

შპს „სიოს“ (შემდგომში კოლეჯი) 6 წლით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 28.04.2017 N08 გადაწყვეტილებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 30.07.2019 N11 სხდომის ოქმით შევიდა ცვლილება გადაწყვეტილებაში, რომლის საფუძველზე დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს „საექთნო საქმის“ მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 28.07.2020 N641238 სხდომის ოქმის საფუძველზე „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 120-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 17 ივლისი. ვიზიტის დროს კოლეჯში სწავლობდა 120 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ასევე, 2021 წელს კოლეჯს მოპოვებული აქვს უფლება განახორციელოს „შინმოვლის სპეციალობის“ მომზადების პროგრამა 20 მსმენელზე. პროგრამის ხანგრძლოვობაა 8 კვირა, კვირაში 30სთ. საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა მოამზადა 2 ჯგუფი, სულ 24 მსმენელი. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მესამე ჯგუფის -14 მსმენელის მომზადება. სწავლა პროგრამაზე დასრულდება მიმდინარე წლის 9 თებერვალს.

ვიზიტი განახორციელდა ქ. ქუთაისში 2023 წლის 24, 25 და 26 იანვარს, მისამართზე-ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ.N72 დ. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო კოლეჯს ვიზიტის შედეგები. ექსპერტებთან გასაუბრებისას კოლეჯმა გამოთქვა მზაობა იმის შესახებ, რომ შეიმუშაოს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ.

ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ ატმოსფეროში ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. **(იხილეთ დანართი 1 - ვიზიტის განრიგი).**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ კოლეჯმა წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, რომელშიც აღწერა თუ როგორ გეგმავს დაწესებულება ექსპერტთა მიერ იდენტიფიცირებული (ავტორიზაციის I, II დაV სტანდარტებთან) შეუსაბამობის აღმოფხვრას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☐	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

--

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

--

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

--

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

1.2.2.1. პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი არ ახდენს სტრატეგიული გეგმის შეფასებას სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯის მიერ შესრულებული და ვიზიტის დროს წარმოდგენილი 3 ანგარიშიდან, 2 ანგარიში 2020-21 და 2021-22 წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშებია, ხოლო 1ანგარიში - 2022-23 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვიანი ანგარიშია. ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი სტარტეგიული გეგმის ერთწლიანი ანგარიშები. კოლეჯის აზრით სამოქმედო გეგმების ანგარიშები წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის 1წლიან ანგარიშებს, რასაც ექსპერტები არ ეთანხმებიან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული არ არის შესაბამისობაში კოლეჯის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან. ვიზიტის დროს ექსპერტებს უნდა შეეფასებინათ სტარტეგიული გეგმის შესრულების მინიმუმ 2 ანგარიში და სამოქმედო გეგმების შესრულების მინიმუმ 5 ანგარიში. **რეკომენდირებულია**, დადგენილი წესის შესაბამისად, კოლეჯმა წელიწადში ერთხელ მოახდინოს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი, ხოლო 6 თვეში ერთხელ - ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმების შესრულების მონიტორინგი ევალება დაწესებულების დირექტორს და ხარისხის მართვის სამსახურს, ხოლო კოლეჯის წესდების შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ანგარიშებს ამტკიცდებს დამფუძნებელი. ვიზიტის დროს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და შესაბამისად აღრიცხული კოლეჯში. **რეკომენდირებულია,** კოლეჯის დირექტორის ანგარიშები დამტკიცდეს დამფუძნებლის მიერ, კოლეჯის წესდების შესაბამისად, ხოლო მათი აღრიცხვა კოლეჯში მოხდეს საქმისწარმოების წესის შესაბამისად. **რეკომენდირებულია,** ანგარიშის შედეგები გამოყენებულ იქნეს კოლეჯის გაუმჯობესებისთვის/მდგომარეობის შენარჩუნებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებას „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2.2.1.1.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

ვიზიტის დროს კოლეჯში სწავლობდა 120 პროფესიული სტუდენტი, კოლეჯს სურვილი აქვს კვოტა გაზარდოს 200 პროფესიულ სტუდენტამდე. მათი აზრით, პირველ და მეორე წელს კოლეჯი შეძლებს მიიღოს 60-60 პროფესიული სტუდენტი. მეორე წელს, სწავლება განხორციელდება ორ ცვლაში, მეორე კურსელი 60 პროფესიული სტუდენტი მეორე ცვლაში გაივლის თეორიულ კურსს კოლეჯში, ხოლო მესამე წელს კოლეჯი შეძლებს მიიღოს 80 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტების შეფასებით, 1,5 წლის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები უნდა იყვნენ კოლეჯის ბაზაზე. პარალელურად კოლეჯში შესაძლებელია მუდმივად იყოს მაქსიმუმ 20 მსმენელი. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯს აქვს სულ 105 პირზე აღჭურვილი 2 AC, 1 B და 2 A გარემო, აქედან 1 AC გარემო 20 მსმენელისთვისაა გათვლილი. დარჩენილი 85 ადგილიდან - 20 B გარემოს ეკუთვნის. მაშასადამე, ერთდროულად ერთ ცვლაში შესაძლებელია 65 პროფესიული სტუდენტი განთავსდეს კოლეჯში. 2 წლის განმავლობაში ეს ციფრი ვერ გადააჭარბებს 130-ს ორ ცვლაში. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის კვოტა შესაძლებელია განისაზღვროს მაქსიმუმ 195 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა შეფასებით, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და ობიექტების დათვალიერების საფუძველზე, შესაძლებელია ერთდროულად 160 პროფესიული სტუდენტმა გაიაროს ფსიქიატრიის მოდული, ხოლო 200 პროფესიული სტუდენტი შეძლებს პრაქტიკის გავლას სხვადასხვა კლინიკაში. ასევე, 98 პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი წლიურად. ექსპერტთა შეფასებით, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შესაბამისი ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას, თუ რამდენი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

სტუდენტის მიიღებაა შესაძლებელი თითოეული პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდროულად და არა ეტაპობრივად ან წლიურად. **რეკომენდირებულია,** მოხდეს შეთანხმება კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის იმის შესახებ, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიიღებას შეძლებს თითოეული პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად და არა ეტაპობრივად ან წლიურად.

5.2.2.1 საინფორმაციო რესურსები

ექსპერტების შეფასებით კოლეჯში არ ხდებოდა შიდა დოკუმენტების რეგისტრაცია და აღრიცხვა დადგენილი წესის შესაბამისად, მათ შორის თანამშრომელთა განცხადებების, მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და კოლეჯში გამართული სხდომის ოქმების, და ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების, როგორიცაა კოლეჯის და პროგრამის ბიუჯეტები.

რეკომენდირებული, კოლეჯში შიდა დოკუმენტაციის რეგისტრაცია და აღრიცხვა მოხდეს დადგენილი წესის შესაბამისად.

განმავითარებელი რეკომენდაციები

1.2.1.1. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,** რომ მათ მიერ სიღრმისეულად შეფასდეს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და რისკები და საჭიროებისამებრ მოხდეს ცვლილება სტრატეგიულ გეგმაში. მაგალითად, თუ დაწესებულება თვლის რომ მისი სუსტი მხარეა არასაკმარისი პიარ-კამპანია; პროფესიულ სტუდენტთა დაბალი მოტივაცია და პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

სტუდენტთა რაოდენობის სიმცირე - მაშინ საინტერესოა რატომ სურს მას კვოტის გაზრდა 120-დან 200 პროფესიულ სტუდენტამდე.

1.2.1.3. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,** რომ უმოკლეს დროში მოახდინოს ჩატარებული კვლევის შედეგების გაანალიზება და შედეგის გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რისი ვალდებულება კოლეჯს აქვს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე.

3.2.1.5. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,** მოხდეს მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების გაანალიზება, რასაც კოლეჯი საჭიროებისამებრ გაითვალისწინებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის PDCA ციკლის მიხედვით.

3.2.2.4. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,** საკუთარი რეგულაციის შესაბამისად, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოხდეს კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშგება კოლეჯის დირექტორთან ქმედითი ღონისძიებების გატარების მიზნით. ასევე, კვლევის შედეგები გაზიარებული უნდა იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და PDCA ციკლის ხელშეწყობის მიზნით.

4.1.1.1. **რეკომენდირებულია** შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრული პოზიციის დასახელება დებულებაში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში აღნიშნულ პოზიციის დასახელებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

4.1.1.2. **ექსპერტთა აზრით, უმჯობესი იქნებოდა** კოლეჯის დამფუძნებელი არ ითავსებდეს პერსონალის მართვის მენეჯერის, ბიბლითეკარის და მასწავლებლის ფუნქციებს.

4.2.1.1. **რეკომენდირებულია** კოლეჯის პერსონალის მართვის მენეჯერმა იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის წესით და შესაბამისად მოახდინოს კოლეჯის პერსონალის შეფასება. მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვაში კოლეჯი ითვალისწინებდეს PDCA ციკლის თითოეულ ეტაპს, თანამშრომელთა შეფასება გამყარებული იყოს მტკიცებულებებით. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს კოლეჯის 3 წლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი. 2022-2025 წლების საპროგნოზო ბიუჯეტში მხოლოდ 500 ლარია გამოყოფილი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. რეკომენდირებულია კოლეჯმა მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ინტენსიფიკაცია.

4.2.1.2. **რეკომენდირებულია** კოლეჯის პერსონალის საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე, მოხდეს პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება და განხორციელება. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ხარისხის სამსახურთან ერთად უნდა ახდენდეს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგების ანალიზს, შედეგები წარადგინოს კოლეჯის დირექტორთან და მოხდეს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა ყოველწლიურად, ვინაიდან პერსონალის პროფესიული განვითარება გულისხმობს პერსონალის პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და უნარ-ჩვევების სისტემატურ სრულყოფას.

5.1.1.10.**რეკომენდირებულია** პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტერი განთავსებული იყოს კოლეჯის ორივე ფლიგელის ფოიეში და არა ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ სივრცეში, რომ არ შეფერხდეს დახმარების აღმოჩენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

5.2.1.4. **რეკომენდირებულია** კოლეჯმა მოახდინოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ.

5.2.2.1 ექსპერტების შეფასებით, კოლეჯში არ ხდებოდა კოლეჯის/პროგრამის ბიუჯეტის დადგენილი წესით აღრიცხვა. წესდების შესაბამისად „დირექტორი უწევს ზედამხედველობას და კონტროლს წლიური ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვას“, ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ კოლეჯის დირექტორი ხელმოწერით ითანხმებდა აღნიშნულ დოკუმენტებს, თუმცა მათი აღრიცხვა არ ხდებოდა.

რეკომენდირებულია, დადგენილი წესის შესაბამისად კოლეჯში მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების აღრიცხვა, როგორიცაა კოლეჯის და პროგრამის ბიუჯეტი. ექსპერტთა შეფასებით უკეთესი იქნება მოხდეს ბიუჯეტების დამტკიცება დირექტორის მიერ, ამისათვის დაწესებულებას მოუწევს საკუთარი რეგულაციების გადახედვა და ცვლილება.

5.3.1.1. ვინაიდან კოლეჯის სურვილია სტრატეგიულ გეგმაში გამოჩნდეს ფინანსური რესურსით გეეგმის უზრუნველყოფა, **რეკომენდირებულია** გეგმაში ჩანდეს რომელი ფინანსური რესურსით აპირებს კოლეჯი სტრატეგიული გეგმის აღნიშნული ამოცანების შესრულებას.

2.1.1.8. ექსპერტების შეფასებით პროგრამის ქართული ენის მოდულებში არ არის მითითებული ბოლო ცვლილების/გამოქვეყნების თარიღი 03.02.2021, თუმცა ისინი ძირითადად შეესაბამება 03.02.2021 დამტკიცებულ მოდულებს. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს** ყოველთვის იხელმძღვანელონ განახლებული მოდულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2.2.1.3. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,** ყველა სპეციალობის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, განსაკუთრებით ექიმების, გადამზადება მოხდეს „სიცოცხლისა ბაზისური ალგორითმის“ პროგრამის მიხედვით უსგ კრედიტების შესაბამისად.

2.3.1.2. **რეკომენდირებულია** კოლეჯმა დასახული მიზნების მისაღწევად მოახდინოს მიღებული უკუკავშირის შედეგების გაანალიზება და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირება, ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასება და მუდმივ გაუმჯობესება. მოხდეს გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის განვითარების სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პირების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მისია გამომდინარეობს პროფესიული განთლების შესახებ საქართველოს კანონიდან და შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რომლის თანახმადაც კოლეჯი, თავისი საქმიანობით, ხელს უწყობს ინდივიდის პიროვნულ, პროფესიულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

კოლეჯის დირექტორის მიერ, 09.02.2022 წლის N3-02 ბრძანებით, დამტკიცებულია კოლეჯის დებულება, სადაც გაცხადებულია დაწესებულების მისია: „შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შიდა და გარე ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება, როგორც სამედიცინო ასევე სხვა პროფესიულ სფეროებში, ადამიანური და მატერიალური რესურსების მუდმივი განვითარებით, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობით და რეალურ ბიზნესთან მყარი ურთიერთეფექტური თანამშრომლობის გზით“. საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ მოხდა მისიის ცვლილება. მისიის ადრინდელ რედაქციაში კოლეჯი მხოლოდ სამედიცინო სფეროში აპირებდა კადრების მოამზადებას და გადამზადებას, კოლეჯის დამფუძნებელთან და კოლეჯის სხვა წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ კოლეჯი გეგმავს სხვა პროგრამებს განხორციელებას.

2. კოლეჯი იმერეთის რეგიონში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა.

კოლეჯი ახორციელებს თანამედროვე, შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამის, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას საექთნო განათლება. კოლეჯი ფუნქციონირებს 2001 წლიდან და გამოირჩევა სამედიცინო სფეროში მღალკვალიფიციური კადრების მომზადებით და გადამზადებით. ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებით, კოლეჯის რეგიონისთვის მნიშვნელოვანია კოლეჯის პროფილი და როლი, რაც განასხვავებდა მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან.

3. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. კოლეჯის დებულებაში აღნიშნულია, რომ კოლეჯის ხედვაა „2027 წლისთვის ვიყოთ ძლიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება იმერეთის რეგიონში, დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული გუნდით, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცით და დამსაქმებლებთან მრავალმხრივი პარტნიორობით.“

დაწესებულების ღირებულებებია: განათლების ხელმისაწვდომობა; განვითარებისკენ სწრაფვა; სამართლიანობა; პიროვნებაზე ორიენტირებულობა; პროფესიონალიზმი.

4. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ, გაცნობილია დაწესებულების პერსონალისთვის, რაც დასტურდება ხელმოწერებით და გამოქვეყნებულია კოლეჯის ვებგვერდზე. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია კედელზე კოლეჯის შესასვლელში. გასაუბრების დროს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია არაერთი შეხვედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

პარტნიორებთან, სადაც კოლეჯის წარმომადგენლებმა მათ გააცნეს კოლეჯის მისია და სამომავლო გეგმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებებით;*
- *დაინტერესებული მხარეებისთვის მისიის გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- კოლეჯის წესდებით;
- კოლეჯის დებულებით;
- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*
- *კოლეჯის ვებგვერდით https://sio.ge/index.php*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანებითაა დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია(ცვლილება N3-33 30.12.2022), სადაც გაწერილია, რომ სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაწესებულების მისიასთან, ღირებულებებში გაცხადებულ მიზნებთან; მეთოდოლოგიის თანახმად „სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება SWOT ანალიზს ან შესაბამის კვლევებს/პროგნოზებს, და უნდა ითვალისწინებდეს იმ ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება“ შესაბამისად **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,** რომ მათ მიერ სიღრმისეულად შეფასდეს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და რისკები და საჭიროებისამებრ მოხდეს ცვლილება სტრატეგიულ გეგმაში. მაგალითად, თუ დაწესებულება თვლის რომ მისი სუსტი მხარეა არასაკმარისი პიარ-კამპანია; პროფესიულ სტუდენტთა დაბალი მოტივაცია და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის სიმცირე - მაშინ საინტერესოა რატომ სურს მას კვოტის გაზრდა 120-დან 200 პროფესიულ სტუდენტამდე.

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს; კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად „სტრატეგიულ გეგმის შემუშავებისათვის საჭიროა: ინფორმაციის შეგროვება იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება; დონორების, დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების ინტერესების და სახელმწიფო მიდგომების გააზრება; სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;“ კოლეჯმა წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევა, ასევე წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც ადასტურებს ახალი პროგრამების განხორციელების საჭიროებას.

3. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია შპს სიოს სტრატეგიული გრძელვადიანი გეგმა 2020-2027 წწ (7 წლიანი) 2020 წლის 29 მაისის N3-10 ბრძანებით (ცვლილება 2022 წლის 29 მაისის N3-10 ბრძანებით) და მისგან გამომდინარეობს 2022-2023 წწ სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2022 წლის 29 მაისის N3-10 ბრძანებით. კოლეჯის სტრატეგიული მიზნებია:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
2. ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო რესურსების განვითარება;
3. სტუდენტური სერვისების განვითარება;
4. ადამიანური რესურსების განვითარება;
5. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასება და განვითარება;
6. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად კოლეჯს შემუშავებული აქვს 2022 წლის მაისიდან 2023 წლის მაისამდე გაწერილი 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია ამოცანები, აქტივობები, მიზნის მიღწევის ინდიკატორები, რისკები, შესრულების მტკიცებულებები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები(მატერიალური, ფინანსური და ადამიანური) და განხორციელების ვადები.

ექსპერტთა შეფასებით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სტრუქტურულად მოიცავენ ავტორიზაციის სტანდარტებით (ინდიკატორით) გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს. თუმცა კოლეჯის სტრატეგიული გეგმა ასევე მოიცავს ინფორმაციას ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსის შესახებ. კერძოდ, ყოველი ამოცანის გასწვრივ დაფიქსირებულია სიტყვა „ უზრუნველყოფილია“. კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში უფრო გამჭვირვალეა რესურსებით უზრუნველყოფა, ჩანს კონკრეტული ადამიანური რესურსი და თანხა ლარებში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2022-23 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვიანი შესრულების ანგარიში. ანგარიშის მიხედვით კოლეჯმა შეასრულა პროგრამის შეფასების მექანიზმით გათვალისწინებული აქტივობები, გამოკითხვა, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი, პერსონალის ინიციატივების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებული აქტივობების განხილვა, ასევე სამუშაო ჯგუფის შექმნა, დავალებების განსაზღვრა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

კითხვარის/ანგარიშის შევსება, სარეკლამო აქტივობების დაგეგმვას/განხორციელება, პროფესიული განათლების პოპულიარიზაციის ხელშეწყობა სოციალური ქსელით და გამოფენებში მონაწილეობით, გერმანიაში საქმიანი ვიზიტის განხორციელება, კოლეჯში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამოცდილების გაზიარების მიზნით. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეაფასეს შესრულების მტკიცებულებები და გაესაუბრნენ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. **ექსპერტების აზრით, აქტივობები უმეტესწილად შესრულებულია.** ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის დირექტორის ბრძანება თვითშეფასებაზე მუშაობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, დაწესებულებას პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით ჩატარებული აქვს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, დამსაქმებელთ და პარტნიორი ორგანიზაციების კვლევა და პერსონალთა საჭიროების კვლევა.ასევე, გერმანიაში განხორციელდა კოლეჯის წარმომადგენლის საქმიანი ვიზიტი. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,** რომ უმოკლეს დროში მოახდინოს ჩატარებული კვლევის შედეგების გაანალიზება და შედეგის გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რისი ვალდებულება კოლეჯს აქვს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ექსპერტები ასევე დაინტერესდნენ 2020 წლამდე კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმით. კოლეჯმა ექსპერტებს წარმოუდგინა 2017-2022 წლის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია აქტივობების შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის სტრატეგიული განვითარების 2020-2027წ. გეგმით და კოლეჯის სამოქმედო 2022-2023წ. გეგმით ;*
- *კოლეჯის დირექტორის 29.05.2020 N3-10 ბრძანებით 2020-2027წწ. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილების შესახებ;*
- *კოლეჯის 2017-2022 წლის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმით.*
- *სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით;*
- *კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;*
- *კოლეჯის ბიუჯეტით;*
- *სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშებით;*
- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*
- *კოლეჯის დირექტორის 23.12.2021 N3-23 ბრძანებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

შეფასება:

- ☒ **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

1. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად „სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაწესებულების მისიასთან, ღირებულებებში გაცხადებულ მიზნებთან“; „სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება SWOT ანალიზს ან შესაბამის კვლევებს/პროგნოზებს, უნდა ითვალისწინებდეს იმ ინდიკატორებს“; მეთოდოლოგიაში არის შემდეგი ჩანაწერი: „ანგარიშების შუალედური წარმოდგენა დაგეგმილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის 6 თვეში ერთხელ და შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმის 1 წელში ერთხელ, გეგმების შესრულების მონიტორინგი ევალება დაწესებულების დირექტორს და ხარისხის მართვის მენეჯერს.“ მეთოდოლოგიაში არის შემდეგი ჩანაწერი „სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი და გაზიარებული უნდა იქნეს სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც უნდა დაესწროს ადმინისტრაციის თანამშრომლები, საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები და სხვა;“ ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა ხელმოწერებით დადასტურებული გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშებში კოლეჯის წარმომადგენლების ჩართულობის დამადასტურებელია აღრიცხვის ფურცლებით, რითაც დასტურდება კოლეჯის შიდა ჯგუფის ჩართულობა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესში.

ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შერულების ანგარიშები. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი არ ახდენს სტრატეგიული გეგმის შეფასებას სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯის მიერ შესრულებული და ვიზიტის დროს წარმოდგენილი 3 ანგარიშიდან, 2 ანგარიში 2020-21 და 2021-22 წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშებია, ხოლო 1ანგარიში - 2022-23 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვიანი ანგარიშია. ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი სტარტეგიული გეგმის ერთწლიანი ანგარიშები. კოლეჯის აზრით სამოქმედო გეგმების ანგარიშები წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის 1წლიან ანგარიშებს, რასაც ექსპერტები არ ეთანხმებიან. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული არ არის შესაბამისობაში კოლეჯის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან. ვიზიტის დროს ექსპერტებს უნდა შეეფასებინათ სტარტეგიული გეგმის შესრულების მინიმუმ 2 ანგარიში და სამოქმედო გეგმების შესრულების მინიმუმ 5 ანგარიში. რეკომენდირებულია, დადგენილი წესის შესაბამისად, კოლეჯმა წელიწადში ერთხელ მოახდინოს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი, ხოლო 6 თვეში ერთხელ - ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმების შესრულების მონიტორინგი ევალება დაწესებულების დირექტორს და ხარისხის მართვის სამსახურს, ხოლო კოლეჯის წესდების შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ანგარიშებს ამტკიცდებს დამფუძნებელი. ვიზიტის დროს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და შესაბამისად აღრიცხული კოლეჯში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

რეკომენდირებულია, კოლეჯის დირექტორის ანგარიშები დამტკიცდეს დამფუძნებლის მიერ, კოლეჯის წესდების შესაბამისად, ხოლო მათი აღრიცხვა კოლეჯში მოხდეს საქმისწარმოების წესის შესაბამისად. რეკომენდირებულია, ანგარიშის შედეგები გამოყენებულ იქნეს კოლეჯის გაუმჯობესებისთვის/მდგომარეობის შენარჩუნებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებას „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით.

<u>დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ კოლეჯის დირექტორის 01.03.2023 N1-11 ბრძანებით დამტკიცდა გაუმჯობესების გეგმა, რომლის თანახმადაც კოლეჯი 3 თვეში შეძლებს „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით კოლეჯის სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის განხორციელებას. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშგება, განხილვა და დამტკიცებას.“ ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება მოხდება კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში(6/3/2023). მეთოდოლოგიის შესაბამისად, ერთწლიანი 2022-23 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მომზადდება არაუგვიანეს 2023 წლის მაისისა, ვინაიდან გეგმა მოიცავს 2022წლის მაისიდან 2023 წლის მაისამდე პერიოდს. ანგარიშის მომზადებაში უნდა ჩაერთოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2. ექსპერტთა აზრით კოლეჯი სათანადოდ/საკუთარი რეგულაციებით დადგენილი წესით არ რეგირებს შეფასების შედეგებზე, გეგმების შეფასების ანგარიშები არ არის დამტკიცებული დადგენილი წესით. **რეკომენდირებულია** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შეფასების შედეგებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს რეაგირებისთვის, კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, საქმისწარმოების წესების დაცვით. კოლეჯის წესდების შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ანგარიშს ამტკიცებს დამფუძნებელი. ანგარიშის შედეგები გამოყენებულ უნდა იქნეს კოლეჯის გაუმჯობესებისთვის/მდგომარეობის შენარჩუნებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებას „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. საანგარიშო პერიოდში კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში არის განხორციელებული ცვლილება, მისი დამტკიცებიდან 2 წლის შემდეგ, როდესაც მოხდა კოლეჯის მისიის ცვლილება. ექპერტების შეფასებით გეგმაში ცვლილება განხორციელდა კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

3. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები განთავსებულია ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც შესაბამისობაშია კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით;*
- *სტარტეგიული და სამოქმედო გეგმებით;*
- *კოლეჯის წესდებით;*
- *კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;*
- *სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებით;*
- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*
- *კოლეჯის ვებგვერდით;*
- *კოლეჯის დირექტორის 01.03.2023 N1-11 ბრძანებით დამტკიცებული გაუმჯობესების გეგმა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,შპს სიოს დებულებით“ , რის საფუძველზეც კოლეჯში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; დებულება არეგულირებს კოლეჯის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის წესდება, დებულება და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მათი შეფასებით შესწავლილი დოკუმენტები შესაბამისობაშია ,,საქართველოს კანონთან პროფესიული განათლების შესახებ“, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებთან. ვიზიტის დროს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 1-05 25.01. 2023 გასწორდა შეცდომა დებულების 44-ე მუხლში „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება“. პუნქტი 5. ჩამოყალიბდა შემდეგნაირად : პროფესიულ სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლოა შეჩერდეს არაუმეტეს 5(ხუთი) წლის ვადით. **(იხ. დანართი 2)** დებულების წინა რედაქციით სტატუსის შეჩერება შესაძლებელი იყო 3 წლით, თუმცა კოლეჯის წარემომადგენლებს აღნიშნული საკითხი სწორად ჰქონდათ აღქმული და გააზრებული.

2. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს, მათი შეფასებით კოლეჯის პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, რომლის თანახმადაც პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან, გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა; დადგენილი პროცედურის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ისარგებლოს სტუდენტის მობილობის წესით, დაემორჩილოს კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტაბმა გამოიკვლიეს, რომ საანგარიშო პერიოდში მობილობის ფაქტი არ დაფიქსირებულა კოლეჯში.

3. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების თაობაზე სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ თითოეულ მოდულზე სწავლის დაწყებისთანავე, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთანავე. აღნიშნული რეგულაცია გაწერილია „კოლეჯი სიოს დებულებაში“ და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე საჯარო გაცნობისთვის.
4. ექსპერტთა შეფასებით „კოლეჯი სიოს დებულების“ შესაბამისად, კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, რომლის თანახმად, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით ჩარიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ალპიკანტთან ან მის კანონიერ წარმომადგებელთან არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში. ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის 1 არასრულწლოვან აპლიკანტთან გაფორმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ხელშეკრულება. ექსპერტთა შეფასებით ხელშეკრულება შესაბამოსობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

5. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი, თუმცა საანგარიშო პერიოდში კოლეჯს არ ჰქონია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობის შემთხვევა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის წესდებით;*
- *კოლეჯის დებულებით;*
- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 1-05 25.01. 2023;*
- *პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით;*
- *კოლეჯის ვებგვერდით;*
- *პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღოს დამატებითი კონსულტაცია ყოველი სწავლის შედეგის წინ, სასწავლო პროცესში სტუდენტის მხარდაჭერის მიზნით. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულები არიან ყველა აქტივობაში, რაც დაკავშირებულია სტუდენტის მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.
2. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება კოლეჯის შინაგანაწესით, კოლეჯის დებულებით და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ექსპერტებმა კოლეჯის სხვადასხვა წარმომადგენელთან ჩატარებულ გასაუბრებაზე დაადგინეს, რომ სწავლის დაწყების მომენტიდან სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას უწყობენ ხელს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. სტუდენტურ სერვისებზე პასუხისმგებელი პირი გაცნობითი სახის შეხვედრებს ატარებს ყოველ ახალ მიღებულ სტუდენტთა ნაკადთან, სადაც მოხდება კოლეჯში არსებული შესაძლებლობების, სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების გაცნობა და დადასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

3. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, მათი შეფასებით პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შემთხვევაში და მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას, რომელიც შეისწავლის გარემოებებს და გონივრულ ვადაში აღმოუჩენს პროფესიულ სტუდენტს აკადემიურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.
4. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯი ხელს უწყობს საგანმანათლებლო და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას. რისთვისაც პროფესიული სტუდენტი მიმართავს კოლეჯის დირექტორს, დირექტორის თანხმობის შემთხვევაში განისაზღვრება ფინანსური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა. ექსპერტებმა შეისწავლეს 2020,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2021 და 2022 წლების ხარჯები ბიუჯეტების მიხდვით, ასევე კოლეჯის 2022-23 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერისთვის 3წლის განმავლობაში კოლეჯს 1800 ლარი აქვს განსაზღვრული საპროგნოზო ბიუჯეტში.

5. კოლეჯის დებულების თანახმად, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მოახდინონ „პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აპლიკანტების და პერსონალის გამოკითხვა(ელექტრონული კითხვერების შევსება, ინტერვიუ), შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯი კვლევის დროს ძირითადად იყენებს რაოდენობრივ მეთოდებს. გამოკითხვების ჩატარება უზრუნველყოფილია ელექტრონული ანკეტების მეშვეობით (Google Forms- ის ელექტრონული პლატფორმით). ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,** მოხდეს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების გაანალიზება, რასაც კოლეჯი საჭიროებისამებრ გაითვალისწინებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის PDCA ციკლის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის დებულებით;*
- *კოლეჯის 2022-23 წლის საპროგნოზო ბიუჯეტით;*
- *2020-2022 წლების ხარჯებით;*
- *პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება, რომელიც ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური სტუდენტებისთვის: კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეჯენერი ერთმანეთთან შეთანხმებით წარმართავენ პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილ/განხორციელებულ ღონისძიებებს; სასწავლო პროცესის მენეჯერს ფუნქცია-მოვალეობებით განსაზღვრული აქვს „მონაწილეობა საიმიჯო და პროფორიენტაციის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაში“. მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია აწარმოებს პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის შეხვედრების რეგიონის სხვადასხვა სკოლებში, ასევე კონტიგენტის მიღებასთან დაკავშირებით ჩატარებულია ღია კარის დღეები, რაც დასრტურდება ფოტო მასალით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი სისტემატურად აწვდის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიებისა და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ სოციალური ქსელის, კოლეჯის ვებგვერდისა და სატელეფონო კავშირის მეშვეობით. ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მუდმივად აწვდის ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტებს ფეისბუქ დახურული გვერდის მეშვეობით. კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან კოლეჯში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. მათი დასაქმება მოხდა დაწესებულების მიერ გაწერილი წესისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

   კოლეჯის კურსდამთავრებულია დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერიც, იგი შეთავსებით მუშაობს გერმანიაში, მედდის პოზიციაზე და მისი მცდელობით კოლეჯის სხვა კურსდამთავრებულებასაც მიეცემათ შესაძლებლობა სურვილისამებრ დასაქმდნენ გერმანიაში.

3. კოლეჯი ატარებს კვლევებს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას ტექნიკურად ახორციელებს IT მენეჯერი. გამოკითხვა ხორციელდება ერთხელ წელიწადში, სასწავლო წლის ბოლოს ან/და საჭიროებისამებრ შემუშავებული კითხვარის მიხედვით. ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

დროს ექსპერტები გაეცნენ კოლეჯის მიერ ჩატარებულ პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს. გამოკითხვები კოლეჯის მიერ ჩატარებულია როგორც დისტანციური სწავლების პერიოდში, ასევე 2022 სასწავლო წელს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 31-მა პროფესიულმა სტუდენტმა. დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულთა 2 გამოკითხვის შედეგები. ერთ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 12-მა კურსდმათვარებულმა, ხოლო მეორეში- 21-მა კურსდამთავრებულმა. ექსპერთა შეფასებით, კვლევის შედეგების რეპრეზენტაბელურობისთვის საჭიროა გამოკითხვაში ჩაერთოს პროფესიულ სტუდენტთა დიდი რაოდენობა (ვიზიტის დროს კოლეჯში სწავლობს 120 პროფესიული სტუდენტი).

4. ექსპერტთა შეფასებით, საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია კარიერული მომსახურების კვლევა. 2022 წლის კურსდამთავრებულებთა კითხვარში არის კითხვა "ჩამოთვილი ფაქტორებიდან რომელმა შეუწყო ხელი თქვენს დასაქმებას?" რაზეც 12 რექსპონდენტიდან 58% აფიქსირებს, რომ დასაქმებაში დახმარება გაუწია კოლეჯმა, ასევე გამოკითხულთა 25% აფიქსირებს რომ, კოლეჯის ინიციატივით ტარდება დასაქმების ფორუმები. 50% თვლის, რომ კოლეჯი პერიოდულად აწვდის კურსდამთავრებულებს ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ და ახორციელებს პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო პროგრამას. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს,**საკუთარი რეგულაციის შესაბამისად, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოხდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშგება კოლეჯის დირექტორთან ქმედითი ღონისძიებების გატარების მიზნით. ასევე, კვლევის შედეგები გაზიარებული უნდა იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და PDCA ციკლის ხელშეწყობის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის სტრუქტურით;*
- *კოლეჯის თანამშრომელთა სამუშაო-აღწერილობებით;*
- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*
- *კოლეჯის მიერ ჩატარებული გამოკითხვებით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის თანამშრომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 09.02.2022წლის N3-02 ბრძანებით. ვიზიტის დროს ექსპერტებმა აღმოაჩინეს , რომ პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებში მოხსენიებულია <u>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პოზიცია, ხოლო რიგ მარეგულირებელ დოკუმენტებში, მათ შორის სტრუქტურაში, დებულებაში და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დაფიქსირებულია პოზიცია-ხარისხის მართვის სამსახური.</u> დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზემოთაღნიშნული ტექნიკური ხარვეზია. **რეკომენდირებულია** შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრული პოზიციის დასახელება დებულებაში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში აღნიშნულ პოზიციის დასახელებასთან.

2. კოლეჯის სტრუქტურა შედგება დირექტორის, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელისა და შტატგარეშე თანამშრომლებისაგან. კოლეჯის სტრუქტურის მიხედვით დამფუძნებელს ექვემდებარება კოლეჯის დირექტორი, ხოლო კოლეჯის დირექტორს ექვემდებარება კოლეჯის დანარჩენი პერსონალი. ექსპერტთა შეფასებით თანამშრომლების პასუხისმგებლობების გადანაწილება ხელს არ უშლის კოლეჯის საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კოლეჯის დამფუძნებელი ასევე ითავსებს პერსონალის მართვის მენეჯერის, ბიბლითეკარის და მასწავლებლის ფუნქციებს. ექსპერტებმა შეისწავლეს სამუშაო აღწერილობები და მოახდინეს დამფუძნებელთან გასაუბრება. ექსპერტთა აზრით, **უმჯობესი იქნებოდა** პერსონალის მართვის მენეჯერმა არ შეითავსოს ბიბლიოთეკარის და მასწავლებლის პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახორციელებს მხოლოდ ერთ მოდულს პროგრამაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობების მიხედვით შედგება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტისაგან. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის დირექტორის 09.02.2022წლის N3-02 ბრძანებით დამტიკიცებულ „შპს სიო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“ ვხვდებით ტერმინს „ხარისხის განვითარების სამსახური“. ასევე, როგორც ზევით ავღნიშნეთ კოლეჯის სტრუქტურაში ასევე განსაზღვრულია ხარისხის მართვის სამსახური. ექსპერტთა შეფასებით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, დოკუმენტის მიხედვით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხელმძღვანელობს მონიტორინგის პროცესს, ხელმძღვანელობს სწავლების პროცესში წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირების, მაკორექტირებელი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესს. ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ შემუშავებული 2020-21 წლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა შეფასებით აქტივობები, რომლებიც გაწერილი იყო გეგმაში შესრულებულია კოლეჯის მიერ.

ხარისხის მართვის სპეციალისტი ახორციელებს კალენდარული გეგმების შემუშავების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შერჩევის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მონიტორინგს, მონაწილეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის, სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვების ორგანიზების პროცესებში. კოლეჯის დირექტორის 30.06.2021 წლის N3-07 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს როგორც გრძეკლვადიანი ისე მოკლევადიან პროგრამების განხორციელებისას. აღნიშნული ასევე დადასტურდა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების დროს და საანგარიშო პეროდში კოლეჯის მიერ განხორციელებული პრაქტიკის გათვალისწინებით. მათ შორის, 05.02.2021 განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესი. კოლეჯის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ვერიფიკაცია ჩატარდა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოწვეული შემფასებლის ჩართულობით. ვერიფიკაცია ჩატარდა შემდეგი მიმართულებით: შეფასების სისტემის ეფექტურობა, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობა, გადაწყეტილებების ობიექტუტრობა და მტკიცებულებების საკმარისობა. ვერიფიკატორების მიერ გაცემულია რეკომენდაციები შემდგომი განვითარების მიზნით. ექსპერტთა შეფასებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

სასწავლო პროცესის მენეჯერის და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მუდმივად უნდა მოხდეს აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს სამოქმედო გეგმა, კოლეჯს დაგეგმილი ჰქონდა ვერიფიკაცია გასულ წელსაც, მაგრამ ვერ განახორციელა გარკვეული მიზეზების გამო. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა ვიზიტის დროს წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის მიერ 25.01.2023 N1-04 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის სამსახურის 2023-24 წლის სამოქმედო გეგმა, **(იხ. დანართი 3)** რომელიც ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას 2023 წლის აპრილამდე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ხარისხის მართვის სამსახურის 2023-24 წლის სამოქმედო გეგმით;*
- *შპს სიო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;*
- *სამუშაო აღწერილობებით;*
- *ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით;*
- *ვალიდაცია/ვერიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ექსპერტთა შეფასებით პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი აქტების: „შპს სიოს პერსონალის მართვის წესი“ და ,,შინაგანაწესი“. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები, ორგანიზაციული სტრუქტურა და ადამიანური რესურსების შერჩევის წესები. პერსონალის მართვის პროცესები ასევე რეგულირდება შინაგანაწესით დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც აწესრიგებს შრომით პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მასწავლებელთა უფლება-მოვალეობებს, წახალისებისა და დისციპლინარულ ღონისძიებებს. კოლეჯში ადამიანური მართვის მენეჯერის პოზიციას ასრულებს კოლეჯის დამფუძნებელი, რაც ექსპერტთა შეფასებით შესაძლოა პოზიტიურად მოქმედებდეს კოლეჯში მიმდინარე პროცესებზე.
2. ექსპერთტა შეფასებით, კოლეჯის ადამიანური მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორთან შეთანხმებით უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კოლეჯის პერსონალის შერჩევა და დასაქმება კოლეჯში ძირითადად ხორციელდება გასაუბრებით. ექსპერტებმა შეისწავლეს პერსონალის ხელშეკრულებები, რომლებიც 2022 წელს უვადოდაა გაფორმებული, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის ფუნქციონირების მდგრადობას. ექსპერტები გაესაუბრნენ ოფისის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

მენეჯერს, რომელიც კოლეჯში ახლახანს დასაქმდა. მან კოლეჯში არსებული ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია მიიღო ქუთაისის დასაქმების სააგენტოში, გაიარა საჭირო პროცედურები და დასაქმდა ოფისის მენეჯერის პოზიციაზე. ვიზიტის დროს ექსპრტებმა პირადი საქმეების შესწავლის დროს აღმოაჩინეს, რომ კოლეჯის დირექტორს გიორგი სიორდიას ხელშეკრულება N4-43 2022 წლის 7 ივლისს გაფორმებული ჰქონდა იგივე გიორგი სიორდიასთან. ხელშეკრულებაში გაწერილი იყო არსებითი პირობები გარდა ერთისა, დასაქმებულის ხელფასის ოდენობა. ექსპერტები დაინტერესდნენ აღნიშნული ფაქტით, შეისწავლეს კოლეჯის წესდება და სხვა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტები. კოლეჯის წესდების მესამე მუხლის შესაბამისად „კოლეჯის დამფუძნებელი იღებს გადაწყვეტილებას დირექტორის დანიშვნის და გამოწვევის, მასთან ხელშეკრულების დადების და შეწყვეტის შესახებ“. კოლეჯის დებულების მეხუთე მუხლში არის შემდეგი ჩანაწერი: „დაწესებულების დირექტორს ნიშნავს დამფუძნებელი“. ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულბამ წარმოადგინა 26.01.2023 განახლებული ხელშეკრულება N4-01, რომელიც გაფორმებულია კოლეჯის დამფუძნებელს ციცინო ნემსიწვერიძესა და გიორგი სიორდიას შორის, ხელშეკრულებაში გაწერილია დასაქმებულის ხელფასის ოდენობა და სხვა არსებითი პირობები. **(იხ. დანართი 4)**

3. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცვნენ პერსონალის პირად საქმეებს და მოახდინეს მათთან გასაუბრება. მათი ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასა და მათ კვალიფიკაციასთან/ სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

გამოცდილებასთან. ექსპერტების ვიზიტის დროს, ერთ-ერთი თანამშრომლის პირად საქმეში არ იდო ატესტატი კოლეჯის მიერ განსაზღვრული რეგულაციის შესაბამისად. კოლეჯის ადამიანური მართვის მენეჯერმა მყისიერად, რამოდენიმე წუთში მოახდინა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.

4. კოლეჯის ადამიანური მართვის მენეჯერი კოლეჯის დამფუძნებელია. კოლეჯის დირექტორის მიერ 09.02.2022წლის N3-02 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის წესი, კოლეჯის დირექტორი ხელმძღვანელობს აღნიშნული წესით და ცდილობს ჩართული იყოს ყველა პროცესში, დაწყებული ახალადდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესიდან, კოლეჯის თანმაშრომლის შეფასებით და მათი განვითარებით დასრულებული. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში დასაქმებული პირები ახლო ნათესაურ მდგომარეობაში არიან ერთმანეთთან, შესაბამისად კოლეჯის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს. კოლეჯის თითოეულ თანამშრომელის ცდილობს საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზებას კოლეჯის წინაშე დასახული მიზნებისა მისაღწევად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის მართვის წესით;*
- *შინაგანაწესით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

- *კოლეჯის დებულებით;*
- *პერსონალის პირადი საქმეებით;*
- *კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებით;*
- *ბიუჯეტით;*
- *კოლეჯის დამფუძნებლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის პერსონალის მართვის წესის საფუძველზე დაწესებულება ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებას, რაც გულისხმობს პერსონალის პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და უნარ-ჩვევების სრულყოფას. პერსონალის შეფასება ხდება პერსონალის მართვის წესის მე-16 და მე-17 მუხლის მიხედვით. აღნიშნული წესის თანახმად „თანამშრომელის საქმიანობის შეფასება უნდა განხორციელდს წელიწადში მინიმუმ ერთხელ. შეფასების შედეგების შესაბამისად, შესაძლოა, განისაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება. ასეთ შემთხვევაში, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი შეფასებულსა და მის უშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ადგენს პერსონალის განვითარების გეგმას და უზრუნველყოფს მის აღსრულებას.“ ვიზიტის დროს ექსპერტებმა მოითხოვეს პერსონალის შეფასების შედეგები. კოლეჯის წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს მათ მიერ 2021 წელს ჩატარებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები. ასევე, კოლეჯმა წარმოადგინა 2021-22 წლის პერსონალის შეფასების კითხვარი. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის მართვის მენეჯერი იყენებს აღნიშნულ კითხვარებს პერსონალის შეფასების მიზნით. პროფესიული განათლების მასწავლებლებმაც გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ხდება მათი შეფასება, თუმცა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული შეფასების მტკიცებულება სხვა არაფერია თუ არა აღნიშნული გამოკითხვები, გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შეფასების დოკუმენტირება არ მომხდარა კოლეჯის მიერ. **რეკომენდირებულია** კოლეჯის პერსონალის მართვის მენეჯერმა იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის წესით და შესაბამისად მოახდინოს კოლეჯის პერსონალის შეფასება. მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვაში კოლეჯი ითვალისწინებდეს PDCA ციკლის თითოეულ ეტაპს, თანამშრომელთა შეფასება გამყარებული იყოს მტკიცებულებებით. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს კოლეჯის 3 წლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი. 2022-2025 წლების საპროგნოზო ბიუჯეტში მხოლოდ 500

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ლარია გამოყოფილი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. **რეკომენდირებულია** კოლეჯმა მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ინტენსიფიკაცია.

2. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი ახორციელდებს პერსონალის განვითარებას, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯის პერსონალს ჩაუტარა ტრენგების ციკლი მოწვეულმა ტრენერმა, ასევე გასული წლის განმავლობაში კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი. კოლეჯის წარმომადგენლებმა ექსპერტებს ასევე წარუდგინეს მათ მიერ ჩატარებული პერსონალის საჭიროების კვლევა. კვლევაში კოლეჯის თანამშრომლები აცხადებენ, რომ უკანასკნელ პერიოდში მათ ჩაუტარდათ ტრენინგები და ვორკშოპები, ხოლო მიღებულ გამოცდილებას იყენებენ ყოველდღიურ საქმიანობაში. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ტრენინგები ტარდება გარკვეული პერიოდულობით, თუმცა კვლევაში ისინი სურვილს გამოთქვამენ დამატებით გაიარონ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. **რეკომენდირებულია** კოლეჯის პერსონალის საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე, მოხდეს პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება და განხორციელება. **ასევე,** ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ხარისხის სამსახურთან ერთად უნდა ახდენდეს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგების ანალიზს, შედეგები წარადგინოს კოლეჯის დირექტორთან და მოხდეს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა ყოველწლიურად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ვინაიდან პერსონალის პროფესიული განვითარება გულისხმობს პერსონალის პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და უნარ-ჩვევების სისტემატურ სრულყოფას.

3. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საანგარიშო პერიოდში ხდებოდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პერსონალისთვის ტრენინგების ორგანიზება: კოლეჯის პერსონალს ტრენგების ციკლი ჩაუტარა მოწვეულმა ტრენერმა, ასევე გასული წლის განმავლობაში კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი, კოლეჯის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში და სხვა. **ექსპერტთა შეფასებით,** კოლეჯი გეგმავს უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა მიმდინრე წლის მარტამდე სამოქმედო გეგმის მიხედვით. დაგეგმილია პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროების თაობაზე ახალი კვლევის ჩატარება, წლიურად მინიმუმ 3 ტრენინგის ჩატარება პერსონალის განვითარების მიმართულებით, შემუშავებული და დანერგილი იქნება თანამშრომელთა სტიმულირების პროცედურები, წახალისებული იქნება წლიურად მინიმუმ 3 პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

4. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს ორგანიზაციაში ახალი თანამშრომლის წარმატებულ ადაპტაციას სამსახურში მიღების და მასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ. აღნიშნული ექსპერტებს გასაუბრების დროს დაუდასტურა კოლეჯის ოფისის მენეჯერმა, რომელიც რამოდენიმე თვის წინ დასაქმდა კოლეჯში. კოლეჯის ადამიანურ რესურსების მართვის მენეჯერი და შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის მენეჯერი უზრუნველყოფენ კადრის სწრაფ ადაპტაციას ახალ გარემოსთან და კოლეჯთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემას. ადაპტაცია ასევე გულისხმობს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გაცნობას. ვიზიტი პირველსავე დღეს შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერმა თავად ექსპერტებსაც ჩაუტარდა მცირე ინსტრუქტაჟი კოლეჯში უსაფრთხოების შესახებ.
5. პერსონალის მართვის წესის მიხედვით პერსონალის წახალისების ფორმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში მიმდინარეობს თანამშრომელთა წახალისება, თუმცა ეს პროცესი არ უკავშირდება მათ პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის დირექტორის მიერ თანამშრომელთა წახალისება ხდება დღესასწაულებთან დაკავშირებით, ასევე დასაქმებული პერსონალის განვითარების მიზნებისათვის კოლეჯში შესაძლებელია თანამშრომლის გადაადგილება, რაც ექსპერტებს დაუდასტურა კოლეჯის დამფუძნებელმა გასაუბრების დროს. კოლეჯის სამოქმედო გეგმის მიხედვით, ადამიანური რესურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების მიზნით, კოლეჯი მიმდინარე წლის აპრილამდე გეგმავს ადამიანური რესურსების სამუშაოზე მიღების, განვითარების, სტიმულირების სისტემის განვითარებას. არის თუ არა კოლეჯში ინიციატივების გამოვლენის შესაძლებლობა, ფასდება პერსონალის მართვის წესის დანართით. ამავე წესით შესაძლებელია სამუშაოსთან დაკავშირებით თანამშრომლის დამოკიდებულების, გუნდის წევრის უშუალო ხელმძღვანელის მიერ შეფასების და ორგანიზაციის შეფასების შესაძლებლობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის მართვის წესით;*
- *შინაგანაწესით;*
- *კოლეჯის დებულებით;*
- *პერსონალის პირადი საქმეებით;*
- *კოლეჯის პერსონალთან გასაუბრებით;*
- *კოლეჯის ბიუჯეტით;*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით 2032 წლამდე. შპს სიო მფლობელობაშია, 406.67 კვ. მ, 25.02.2016 წლიდან 25.02.2032 წლამდე, ქალაქ ქუთაისში, გ. ტაბიძის ქუჩაზე #72დ, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა აზომვითი ნახაზი, რომელიც შესრულებულია შპს „ქუთმიწსერვისი 2001-ს“ მიერ 05.02.2016. ექსპერტთა შეფასებით ნახაზი შეესაბამება კოლეჯის ფაქტობრივ მდგომარეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშულ მისამართზე განთავსებულია თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები (A გარემო)კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი (B გარემო), დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები (A/C გარემო). დაწესებულებას 05.05.2021 წელს აღებული აქვს დადებითი საექსპერტო დასკვნა ერთსართულიანი შენობის კონსტრუქციულ მდგრადობის უსაფრთხოების შესახებ.

2. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები, გადაამოწმეს მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მათ შორის სივრცეები:

- ფოიე - სივრცე, სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა სასწავლო აუდიტორიებში ან სხვა სივრცეებში მათ გადანაწილებამდე;
- თეორიული სწავლების აუდიტორიები (2A გარემო);
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი (B გარემო);
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები (2 A/C გარემო);
- ადმინისტრაციული სივრცე - სამუშაო სივრცე ადმინისტრაციული პერსონალისათვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სივრცე პროფესიულ სტუდენტთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის;
- სანიტარული კვანძები;
- ბიბლიოთეკა;
- სივრცე არქივისთვის. კოლეჯის მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის.

3. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დამლაგებლის 1 (ერთი) საშტატო ერთეული. სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვა დასტურდება ჰიგიენური საშუალებების შეძენის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციით;
4. ექსპერტთა შეფასებით შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობით. ასევე ექსპერტებმა შეისწავლეს ბუნებრივი აირის, დენის და წყლის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
5. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები: კოლეჯი თავის თანამშრომლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მსმენელებთან მიმართებაში ვალდებულებას იღებს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. ექსპერტებს ადგილზე დახვდათ შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეების მონიტორინგს. შეუსაბამობის დროს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ დგება ოქმი და გონივრული ვადა მიეცემა კოლეჯის ხელმძღვანელობას მის გამოსასწორებლად. შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერს შეთავსებული აქვს სამეურნეო სამსახურის მენეჯერის პოზიციაც.

6. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის სამეურნეო სამსახურის მენეჯერის მიერ ხდება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის შეძენა. კოლეჯის დირექტორის მიერ 09.02.2022წლის N3-02 ბრძანებით დამტკიცებულია შპს სიოს მატერიალური რესურსების გამოყენების წესი. წესის მიხედვით. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მის განვითარებას. სასწავლო პროცესი მუდმივად უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსით, მასალებითა და ნედლეულით. ექსპერტებს კოლეჯმა წარმოუდგინა შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

7. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს 09.02.2022 წლის N3-02 კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შპს სიოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2022-23 წწ სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას. კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში კალენდარული წლის ბოლო კვარტალში ხორციელდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია და შესაბამისად რესურსების შეფასება/შემოწმება. ამასთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად წელიწადში მინიმუმ ერთხელ მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით უნდა მოხდეს კითხვარების შევსება ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტის მიერ, რომლის საფუძველზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით, დასახავს მათი აღმოფხვრის გზებს შემდგომი რეაგირებისათვის და წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.
8. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობში არის გამიჯნული სანიტარული კვანძები მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი, რომლებიც მარაგდება უწყვეტი წყლის სისტემით. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. კონკრეტულად: ტუალეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ქაღალდი, საპონი და ხელსახოცი. პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის სარგებლობაში მყოფ ყველა შენობა-აგებობაში ხდება ელენერგიის უწყვეტი მიწოდება, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

10. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში არსებული სათავსოებისა და სივრცეები ისეა განლაგებული, რომ ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას პროფესიული სტუდენტებისათვის და მსმენელებისთვის. შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები. კოლეჯის ყველა სივრცეში შეღწევა შესაძლებელია ფოიედან. **რეკომენდირებულია** პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტერი განთავსებული იყოს კოლეჯის ორივე ფლიგელის ფოიეში და არა ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ სივრცეში, რომ არ შეფერხდეს დახმარების აღმოჩენა.

11. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ასევე ბიბლიოთეკაში მოიპოვება მოდულებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

მითითებული ელექტრონული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2 პერსონალური კომპიუტერი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი). ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანებით, გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის ელექტრონული ვერსია განთავსებულია კოლეჯის ვებ–გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ფაქტობრივი მდგომარეობით;*
- *კოლეჯის შიდა აზომვითი ნახაზით;*
- *სერტიფიკატით, რომელიც ადასტურებს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაციას;*
- *შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;*
- *საექსპერტო დასკვნთ ერთსართულიანი შენობის კონსტრუქციულ მდგრადობის უსაფრთხოების შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

- *შპს სიოს მატერიალური რესურსების გამოყენების წესით;*
- *სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესით;*
- *შპს სიოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;*
- *ინვენტარიზაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *სინათლის, ბუნებრივი აირის და წყლის გადახდის ქვითრებით;*
- *ბიბლიოთეკაში ქცევის წესებით;*
- *ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით;*
- *კოლეჯის ბეგვერდით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 09.02.2022 წლის 3-02 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, კერძოდ: შენობის ფოიეში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები ჩარჩოთი. დაყენებულია ავარიული განათება, Exit მანათობლები, გარე და შიგა პერიმეტრზე ხორციელდება მონიტორინგი ვიდეოსათვალთვალო სისტემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

მეშვეობით. შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას შენობის შიგა და გარე პერიმეტრზე. როგორც სტუდენტის, ისე თანამშრომელთა მხრიდან უსაფრთხოების და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში (ჩხუბი, კოლეჯის ქონების დაზიანება, უხამსი საქციელი, ბილწსიტყვობა და სხვა) შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერს ევალება სიტუაციის კონტროლი რათა ადგილი არ ქონდეს ზემოთ მოყვანილ დარღვევებს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში დაუკავშირდეს ცხელ ხაზს ნომრით 112. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაუდასტურეს ექსპერტებს, რომ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციების პრევენციის მიზნით მკაცრად არის დაცული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები.

2. კოლეჯის დირექტორის 09.02.2022წლის N3-02 ბრძანებით „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“. კოლეჯში არ მოქმედებს მედდის კაბინეტი, თუმცა კოლეჯში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი. სამედიცინო პუნქტი განთავსებულია კოლეჯის მფლობელობაში არსებულ შენობაში, ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ ფართში და მის გამართულ ფუნქციონირებას წარმართავს შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი. ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა მარეგულირებელი დოკუმენტები, შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობა, ვიზუალურად იქნა დათვალიერებული პირველადი გადაუდებელი დახმარების პუნქტი, მედიკამენტების აღრიცხვისა და გაცემისა და პირველადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალები. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის პერსონალი დაუკავშირდება საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცხელ ხაზს 112. ასევე, უნდა აიღნიშნოს, რომ კოლეჯის დირექტორი არის ექიმი, პროგრამის ხელმძღვანელი კი ექთანი და უმრავლესობა პროფესიული განათლების მასწავლებელი ექიმის ან ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირია, რომლებსაც შეუძლიათ აღმოუჩინონ კვალიფიციური პირველადი სამედიცინო დახმარება პირს. (იხ. რეკომენდაცია 5.1.1.10).

3. ექსპერტთა შეფასებით საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებულია და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N 508 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის'' შესაბამისად. კოლეჯის გეგმა შეთანხმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსთან. ასევე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კოლეჯის შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი პასუხისმგებელია კოლეჯში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფაზე, რაც გაწერილია მის ფუნქცია-მოვალეობებში. მასთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ იგი მოახდენს საგანგებო სიტუაციების დროს (ხანძარი, ბუნებრივი მოვლენები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

სხვა) დასაქმებულთა, სტუდენტთა და ასევე ყველა იმ პირის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანას, რომლებიც იმყოფებიან შენობაში. კოლეჯის შრომის უსაფრხთოების მენეჯერის მიერ ტარდება ინსტრუქტაჟი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირდება სპეციალური ჟურნალში დასაქმებულთა ხელისმოწერით.

4. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე კოლეჯი უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო ჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა, ასევე კოლეჯში დასაქმებული შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი, პასუხისმგებელია წესრიგის დაცვაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ფაქტობრივი მდგომარეობით;*
- *შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით;*
- *სამუშაო აღწერილობებით;*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

- *შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით;*

შეფასება:

- ■ **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯს გააჩნია IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოიყენება კოლეჯის მართვაში და სასწავლო პროცესისთვის. კოლეჯში არის ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი,სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერები. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობით, ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და გადახდის დამადასტურებელი დოკუმნეტაციით.

2. კოლეჯს გაწერილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები. აღნიშნული რეგულაცია მოიცავს IT რისკების მართვას, იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რასაც განახორციელებს აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი, რათა დაიცვას დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა დაზიანებისაგან. კომპიუტერები უზრუნველყოფილია IT ვირუსისგან დამცავი სისტემით. ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის IT მენეჯერს, იგი უკვე რამდენიმე წელია რაც დასაქმებულია კოლეჯში და ეფექტურად უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვას, ასევე კოლეჯის ხელმძღვანელებიც დადებითად აფასებენ მის მიერ გაწეულ შრომას.
3. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯს შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების არსებული პრაქტიკა შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ესპერტებმა შეისწავლეს პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც პირები ხელმოწერით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ადასტურებენ თანხმობას, რომ მოხდეს მათი მონაცემების დამუშავება. ამასთან, დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

4. ექსპერტები ვიზიტის დროს გაესაუბრნენ კოლეჯის IT მენეჯერს, იგი სისტემატურად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას კოლეჯის მატერიალური რესურსების გამოყენების წესის შესაბამისად. IT მენეჯერი აკონტროლებს როგორც ტექნიკურ გამართულობას, ასევე ახდენს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას. მასთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯის კომპიუტერები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და ვირუსისგან დამცავი სისტემით. კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები ასევე, ითვალისწინებს ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის და პროცესების ეფექტიანობის შეფასებას/ საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირება. ვიზიტის დროს კოლეჯმა ექსპერტებს წარმოუდგინა პროფესიული სტუდენტების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვები, თუმცა საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ არ არის ჩატარებული კოლეჯში. **რეკომენდირებულია** კოლეჯმა მოახდინოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ.

5. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. ინტერნეტით (უკაბელო ინტერნეტი) სარგებლობა შესაძლებელია თავისუფალი წვდომის რეჟიმში, როგორც ადმინისტრაციის, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტებისათვის. ყოველივე აღნიშნული დადასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და ფაქტობრივი მდგომარეობით.
6. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან კომუნიკაციას ახდენს ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით. კერძოდ, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შექმნილია კორპორატიული ელექტრონული ფოსტა. ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ მასწავლებლებთან კომუნიკაცია ხდება აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კოლეჯი ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის მომენტში ავსებს ერთიანი საკომუნიკაციო ბაზას. საჭიროების შემთხვევაში ხდება ელექტრონული ფოსტის მისამართების შექმნა მათთვის, ასევე კონსულტაცია ელექტრონული ფოსტის/ კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემების (მაგ. Google Drive) გამოყენების შესახებ. პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას კოლეჯი ძირითადად ახდენს ფეისბუქ დახურული ჯგუფების მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ფაქტობრივი მდგომარეობით;*
- *შპს სიო მატერიალური რესურსების გამოყენების წესით;*
- *კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმებით;*
- *ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *დომენის და ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულებით;*
- *პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთა გაფორმებული ხელშეკრულებებით;*
- *შპს სიო პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესით;*
- *IT მენეჯერთან გასაუბრებით;*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

1. კოლეჯში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი(ცვლილება 30.12.2022 N3-32), აღნიშნული დოკუმენტით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელია და კონტროლს, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს კოლეჯის ოფისის მენეჯერი, რომლის ძირითადი ფუნქციაა კოლეჯში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენის, გაფორმების, აღრიცხვისა და სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების ორგანიზება; მენეჯრი რამოდენიმე თვის წინ დაინიშნა აღნიშნულ პოზიციაზე. კოლეჯის საქმისწარმოების წესი აწესრიგებს: კოლეჯში შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვას, ბრძანების რეგისტრაციისა და აღრიცხვას, ოქმების და ხელშეკრულების რეგისტრაციის აღრიცხვას, სხდომის ოქმების გაფორმებას, დიპლომების რეგისტრაციისა და აღრიცხვას, დოკუმენტების შედგენა-გაფორმებას, ბეჭდის გამოყენებას, დაწესებულების მიერ გაცემული სერთიფიკატების აღრიცხვას, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებას და არქივის მუშაობას. ექსპერტებმა განიხილეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის სამოქმედო გეგმის ანგარიშები, კოლეჯის ბიუჯეტი, და სხვა, რომლებიც არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და არ არის აღრიცხული არც დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში eflow-ში, არც რეგისტრაციის ჟურნალებში. კოლეჯის დებულების თანახმად: „დირექტორი ამტკიცებს დაწესებულების სტრუქტურას, საშტატო განრიგს, დებულებას, შრომის შინაგანაწესს, განვითარების ყოველწლიურ (1 წლიან)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

სამოქმედო და გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმებს; ასევე დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა რეგულაციებს; ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მომზადების და გადამზადების პროგრამებს, ახორციელებს ცვლილებებს საჭიროების შემთხვევაში;“ ექსპერტების შეფასებით კოლეჯში არ ხდებოდა შიდა დოკუმენტების რეგისტრაცია და აღრიცხვა დადგენილი წესის შესაბამისად, მათ შორის თანამშრომელთა განცხადებების, მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და კოლეჯში გამართული სხდომის ოქმების, და ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების, როგორიცაა კოლეჯის და პროგრამის ბიუჯეტები. კოლეჯის წესდების შესაბამისად „დირექტორი უწევს ზედამხედველობას და კონტროლს წლიური ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვას“, ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ კოლეჯის დირექტორი ხელმოწერით ითანხმებდა აღნიშნულ დოკუმენტებს, თუმცა მათი აღრიცხვა არ ხდებოდა.

რეკომენდირებული, კოლეჯში შიდა დოკუმენტაციის რეგისტრაცია და აღრიცხვა მოხდეს დადგენილი წესის შესაბამისად, მათ შორის თანამშრომელთა განცხადებების, მოხსენებითი ბარათების და ანგარიშების; ასევე, საქმისწარმოების წესის შესაბამისად მოხდეს კოლეჯში გამართული სხდომის ოქმების გაფორმება რეგისტრაცია და აღრიცხვა. კოლეჯში მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების აღრიცხვა, როგორიცაა კოლეჯის და პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ბიუჯეტი. ექსპერტთა შეფასებით უკეთესი იქნება მოხდეს ბიუჯეტების დამტკიცება დირექტორის მიერ, ამისათვის დაწესებულებას მოუწევს საკუთარი რეგულაციების გადახედვა და ცვლილება.

<u>დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ კოლეჯის დირექტორის 01.03.2023 N1-11 ბრძანებით დამტკიცდა გაუმჯობესების გეგმა, რომლის თანახმადაც კოლეჯი 3 თვეში მოახდენს „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კოლეჯის საქმისწარმოების წესის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.“ ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ხარვეზი შესაძლებელია აღმოიფხვრას კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში (6/3/2023). ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია საქმისწარმოების პროცესი შეესაბამებოდეს საქმისწარმოების წესს.</u>

2. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მართვისთვის გამოიყენება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა eflow. კოლეჯი იყენებს 2 ექაუნთს ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. ექსპერტებმა შეამოწმეს სისტემის გამართულობა დარწმუნდნენ რომ სწორად ხდება კოლეჯში შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

3. კოლეჯის რეესტრის წარმოების წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 22 მაისის N142 ბრძანებით. წესი განსაზღვრავს კოლეჯის რეესტრის წარმოების პირობებს, რეესტრში ინფორმაციის შეტანისათვის პასუხისმგებელ სუბიექტებს, რეესტრში ინფორმაციის შეტანის, რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილების განხორციელებისა და რეესტრიდან ინფორმაციის ამოღების წესებს. ექსპერტებმა ვიზიტისას გადაამოწმეს რეესტრში კოლეჯის მიერ ასახული, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა, პროგრამაზე ჩარიცხული პირების/სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების შესახებ და სხვა საჭირო ინფორმაცია. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

4. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თვითშეფასებისა და საჭირო დოკუმენტაციის მიწოდებით. ექსპერტებთან გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დოკუმენტაციის მიღება/გაგზავნა შესაძლებელია მოხდეს როგორც ელ.ფოსტით ასევე eflow-ს მეშვეობით, საქმისწარმოების წესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

შესაბამასიად კოლეჯის ოფისის მენეჯერი არის ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,რომელიც მოთხოვნილი ინფორმაციის სისწორეს აზუსტებს შესაბამის უფლებამოსილ პირთან, დირექტორთან შეთანხმებულ ინფორმაციას გასცემს დადგენილ ვადებში დოკუმენტის მიღებას/გაგზავნას აწარმოებს კოლეჯის ოფისის მენეჯერი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის საქმისწარმოების წესით;*
- *ოფისის მენეჯერთან გასაუბრებით;*
- *რეესტრზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით;*
- *რეესტრის წარმოების წესით;*
- *ფაქტობრივი მდგომარეობით;*
- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*
- *კოლეჯის დირექტორის 01.03.2023 N1-11 ბრძანებით დამტკიცებული გაუმჯობესების გეგმა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; კოლეჯის ვებ გვერდზე შესვლისთანავე მარტივადაა შესაძლებელი მიიღო კოლეჯის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, დაათვალიერო კოლეჯის სტრუქტურა, ნორმატიული დოკუმენტები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშები. ასევე, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია სიახლეების ველი, გალერეა და კმაყოფილების კითხვარები პროფესიული სტუდენტებისთვის, პერსონალისთვის, ადმინისტრაციისთვის, კურსდამთავრებულებისთვის, დამსაქმებლებისთვის და სხვ. კოლეჯის ვებგვერდზე დაინტერესებული პირი მიიღებს ინფორმაციას კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ. ვებგვერდზე განთავსებულია საექთნო საქმის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის კატალოგი და ინფორმაცია შინმოვლის სპეციალისტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

პროფესიული მომზადების პროგრამის შესახებ. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია კონტაქტის ველიც, სადაც განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და ასევე ბმული, რომელიც დაინტერესებულ პირს გადაიყვანს კოლეჯის ფეისბუქ-გვერდზე. კოლეჯის ვებგვერდის სიახლეების ველში და კოლეჯის ფეისბუქგვერდზე ინფორმაცია განახლებულია გონივრულ ვადაში.

2. კოლეჯი არის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში იმერეთის რეგიონში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს აქვს ქართულენოვანი ვებგვერდი კოლეჯის მისიიდან გამომდინარე. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯი აპირებს ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნასაც, რადგანაც აქვს სურვილი ითანამშრომლოს უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადახსხვა საზოდაგოებრივ ორგანიზაციებთან.
3. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი თავისი ინტერესებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, საზოგადოებაში მისი ცნობადობის ხარისხის ამაღლების მიზნით, გეგმავს და ავრცელებს მხოლოდ სანდო ინფორმაციას. ვებ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, ასევე სხვადასხვა სახის აქტივობებთან დაკავშირებით ემსახურება მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

4. ექსპერტთა შეფსებით კოლეჯი ვებგვერდზე განთავსებულ კატალოგს აქვს საინფორმაციო-სარეკლამო დანიშნულება, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ; ვებგვერდზე ასევე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, მასში განთავსებულია ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და კრედიტების და სხვა სპეციფიური დეტალების შესახებ.
5. ექსპერტთა შეფასებით პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად; ვიზიტის დროს კოლეჯის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 2022 წლის კატალოგი. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯის მიერ შემუშავებული კატალოგები და დარწმუნდნენ, რომ კატალოგის განახლება ხდება ყოველწლიურად. დაწესებულებას მისცეს რჩევა, რომ ვებგვერდზე განთავსებული იყოს კატალოგები წლების მიხედვით.
6. კოლეჯის დირექტორის მიერ 09.02.2022 წლის N3-02 ბრძანებით დამტკიცებულია შპს სიოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. წესის შესაბამისად კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან კომუნიკაციას სოციალური მედიის საშუალებით. კოლეჯს ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელსაც ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს კოლეჯის რომელიმე თანამშრომელი დირექტორთან შეთანხმებით, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქციები გაწერილია სამუშაო აღწერილობებში. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი კონკრეტული ღონისძიებიდან/აქტივობიდან გონივრულ ვადაში განათავსებს სათანადო ინფორმაციას ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის ვებგვერდზე და ფეისბუქგვერდზე მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება უზრუნველყოფს კოლეჯის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ფაქტობრივი მდგომარეობით;*
- *საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით;*
- *კოლეჯის ვებგვერდით;*
- *კოლეჯის ფეისბუქგვერდით;*
- *კატალოგით;*
- *კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან გასაუბრებით*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

- *კოლეჯია IT მენეჯერთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეაფასეს კოლეჯის 2020, 2021, 2022 წლების და 2022-25 წლის კოლეჯის(პროგრამის) საპროგნოზო ბიუჯეტი. პროგრამაზე მინიმუმ 20 პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში 2022-25 წლის ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი ხარჯების უზრუნველსაყოფად: ადმინისტრაციული ხარჯი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურების, მასალა-ნედლეულის და კომუნალური ხარჯი, პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერისა და არფორმალური აქტივობების, პერსონალის და ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯები, ასევე საიმიჯო ღონისძიებების ხარჯი, სესხის გადასახადის, ქონების, საპენსიო, მოგების და სხვა ხარჯები.

   ექსპერტების აზრით კოლეჯის სტრატეგიული გეგმაში ბუნდოვანია ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რა ფინანსური რესურსითაა უზრუნველყოფილი გეგმა. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსის გრაფებს, რომლებშიც ყოველი ამოცანის გასწვრივ წერია სიტყვა „უზრუნველყოფილია“. კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში უფრო გამჭვირვალედაა გაწერილი ფინანსური უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ვინაიდან კოლეჯის სურვილია სტრატეგიულ გეგმაში გამოჩნდეს ფინანსური რესურსით გეეგმის უზრუნველყოფა, **რეკომენდირებულია** გეგმაში ჩანდეს რომელი ფინანსური რესურსით აპირებს კოლეჯი სტრატეგიული გეგმის აღნიშნული ამოცანების შესრულებას.

2. ექსპერტთა შეფასებით ბიუჯეტში დადგენილია რენტაბელობის ზღვარი, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საოპერაციო ხარჯები. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია მინიმუმ 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერით.
3. კოლეჯის ფინანსური მენეჯერი ყოველწლიურად ადგენს საკუთარი ფინანსურ ანგარიშს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ხდება ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა. ფინანსური მდგრადობის შეფასების მიზნით ექსპერტებმა შეისწავლეს 2020 და 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შედეგები პორტალიდან. 2020 წელს მომხმარებლისგან მიღებული იყო 83374, ხოლო წლის ბოლოს ფულადი სახსრები - 3787, ასევე 2021 წელს მომხმარებლისგან მიღებული იყო 167117, ხოლო ფულადი სახსრები წლის ბოლოს - 29755. ექსპერტებმა ასევე შეისწვალეს კოლეჯის ხარჯი ბოლო 3 წლის განმავლობაში მაგალითად, 2020 წ. - 79524, 2021 წ. -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

158777, ხოლო 2022წ.-350562. ექსპერტთა აზრით, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას და შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს.

4. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეისწავლეს კოლეჯის ბიუჯეტები და ხარჯვა ბოლო 3 წლის განმავლობაში, ასევე პორტალიდან მიღებული ინფორმაცია(იხ. მესამე პუნქტი). ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი აანალიზებს აღნიშნულ ინფორმაციას და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავს შემდგომი წლის აქტივობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის საპროგნოზო ბიუჯეტით;*
- *კოლეჯის ხარჯით 2020,2021,2022 წლების მიხედვით;*
- *ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე 2020-21 წლების ფინანსური ანგარიშებით;*
- *კოლეჯის ფინანსურ მენეჯერთან გასაუბრებით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

შეფასება:

- ☒ **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ.72დ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	200

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	---
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის საექთნო საქმე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის საექთნო საქმე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის გადაწყვეტილება საექთნო საქმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის(შემდგომში პროგრამა) განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დამსაქმებელთა და პარტნიორი ორგანიზაციების კვლევის და საექთნო საქმის პროგრამის განხორციელების შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი. შრომის ბაზრის კვლევა მოიცავს ინფორმაციას რეგიონის თავისებურებებისა და დასაქმების პორტალი jobs.ge-ის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შესახებ. კოლეჯის დამფუძნებელთან, დირექტორსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯი 2001 წლიდან გამოირჩევა სამედიცინო სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება/ გადამზადებით. კოლეჯი ამზადებდა მედდებს, მეანებსა და ფარმაცევტებს დღეს ამ კოლეჯის კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობენ თავიანთი კვალიფიკაციის მიხედვით. 2006-2011 წლებში სამედიცინო კოლეჯის ფილიალი ფუნქციონირებდა ქალაქ ფოთში. 2008 წლიდან კოლეჯი ახორციელებდა პროგრამებს: მედდა, კბილის ტექნიკი.

   2012 წელს შპს „სიო“-მ გაიარა ავტორიზაცია და მიიღო საზოგადოებრივი კოლეჯი შპს სიო -ს სტატუსი. ახორციელებდა სწავლებას შემდეგ პროგრამებზე: ექთნის თანაშემწე მესამე საფეხური და მასაჟისტი მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

საფეხური. 2014 წლიდან კოლეჯი ახორციელებდა „პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის“ პროგრამას. ხოლო ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების შემდეგ ახორციელებს საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის გადაწყვეტილება საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მისიას და კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაგეგმვისას კოლეჯი განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს (იხ. 1.2.1). კოლეჯი ახორციელებს საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და „შინმოვლის სპეციალობის“ მომზადების პროგრამას,შესაბამისად კოლეჯის მთელი რესურსი მიმართულია აღნიშნული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისკენ. ასევე, ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ 2022 წელს შემუშავებული დოკუმენტი „საექთნო საქმის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, რომელშიც გაანალიზებულია კოლეჯის წარსული და არსებული მდგომარეობა, ასევე აპლიკანტთა მომართვიანობის და კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი (43 კურსდამთავრებულიდან 33 დასაქმებულია სპეციალობით). კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იმერეთში 39 კლინიკაა, რომლებშიც ბოლო პერიოდში განვითარებული მიგრაციის პირობებში განსაკუთრებულად დიდია მოთხოვნა ექთნებზე. ქუთაისის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

რეგიონში ამჟამად მხოლოდ 2 კოლეჯი ახორციელებს საექთნო საქმეს, აქედან კოლეჯი სიო მაქსიმუმ 35 კურსდამთავრებულით უზრუნველყოფს ადგილობრივ შრომის ბაზარს. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ჯანდაცვის კომიტეტის წევრებთან და დამსაქმებლებთან. უკანასკნელი შეხვედრა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან მოხდა 12.11.2022. ასევე, კოლეჯი წარმატებით ახორციელებს შინმოვლის მომზადების სასერტიფიკატო პროგრამას. კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა და კურსდმათავრებულთა მაჩვენებელი მაღალია.

2. პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას; ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, მათი წინარე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ მათ. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტები საკმაოდ მოტივირებულები და კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით.
3. კოლეჯის დირექტორის 09.02.2022წლის N3-02 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელზე დაყრდნობითაც მუშავდება საექთნო საქმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ასევე პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები ორ ცვლაში. კოლეჯს სურვილი აქვს კვოტა გაზარდოს 200 პროფესიულ სტუდენტამდე, ასევე კოლეჯი ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამას მაქსიმუმ 20 მსმენელისთვის. ვიზიტის დროს კოლეჯში 120 პროფესიული სტუდენტი სწავლობს. კოლეჯს კვოტა (120) განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 28.07.2020 N 641356 გადაწყვეტილებით. სხდომის ოქმში ნათქვამია, რომ„კოლეჯი შეძლებს 120 პროფესიულ სტუდენტის მიღებას 40 სტუდენტიანი ნაკადების მიღების პერსპექტივით“. კოლეჯი შესაბამისად ახორციელებდა ყოველწლიურ მიღებას.

4. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათავლიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა და ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი. მათი შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი(ლიტერატურა), უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს;
6. პროგრამის დამტკიცება კოლეჯის დებულების მიხედვით კოლეჯის დირექტორის პრეროგატივაა. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - შპს სიოს დირექტორის 19.02.2020წ. ბძანებით N3-02 (პროგრამის ბოლო ცვლილება N1-01 09.01.2023წ.)

7. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის სახელწოდება „საექთნო საქმე“, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზეა შემუშავებული და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
8. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი საექთნო საქმე/ Nursing, სარეგისტრაციო ნომრით: 09109-პ, პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების შესახებ ინფორმაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტს. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობაა სამი წელი, სრული დატვირთვით- პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლებისას კვირაში არანაკლებ 35 საათია. კოლეჯის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ. ექსპერტების შეფასებით პროგრამის ქართული ენის მოდულებში არ არის მითითებული ბოლო ცვლილების/გამოქვეყნების თარიღი 03.02.2021, თუმცა ისინი ძირითადად შეესაბამება 03.02.2021 დამტკიცებულ მოდულებს. **ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს** ყოველთვის იხელმძღვანელონ განახლებული მოდულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №3-07, 20.05.2020წ.დამტკიცებული შპს სიოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;*
- *კოლეჯის მისიით;*
- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №3-10, 29.05.2020წ.დამტკიცებული შპს სიოს გრძელვადიანი 2020-2027წწ (შვიდწლიანი) სტრატეგული გეგმით;*
- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საქართნო საქმე“;*
- *პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;*
- *2020-2022 წელს კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებით;*
- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №3-07, 20.05.2020წ. დამტკიცებული შპს სიოს დებულებით ;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

- *რეგიონში პროგრამის საჭიროების დამადასტურებელი მტკიცებულებებით;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი და პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ვიზიტის დროს ექსპერტებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

დაათვალიერეს ქ. ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ, ერთსართულიანი შენობის პირველ სართულზე : **2 A გარემო-** 20-20 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიები აღჭურვილია სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილებით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის და სასწავლო პლაკატებით; **1 B გარემო** - 20 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც მდებარეობს და სრულადაა აღჭურვილი მოდულის „საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში" განსახორციელებლად. **2 A/C გარემო-** 25 და 20 პროფესიულ სტუდენტზე. მათგან 1 A/C გარემო- 20 პროფესიულ სტუდენტზე გამოიყენება როგორც პრაქტიკული მოდულების (შინმოვლა და ავადმყოფის მოვლა), ასევე პროფესიული გადამზადების პროგრამის განსახორციელებლად და შესაბამის სასწავლო რესურსით. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის და სასწავლო მულაჟით და C გარემოსათვის საჭირო მასალა ნედლეულით. ვიზიტის დროს კოლეჯში სწავლობდა 120 პროფესიული სტუდენტი, კოლეჯს სურვილი აქვს კვოტა გაზარდოს 200 პროფესიულ სტუდენტამდე. მათი აზრით, პირველ და მეორე წელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

კოლეჯი შეძლებს მიიღოს 60-60 პროფესიული სტუდენტი. მეორე წელს, სწავლება განხორციელდება ორ ცვლაში, მეორე კურსელი 60 პროფესიული სტუდენტი მეორე ცვლაში გაივლის თეორიულ კურსს კოლეჯში, ხოლო მესამე წელს კოლეჯი შეძლებს მიიღოს 80 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტების შეფასებით, 1,5 წლის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები უნდა იყვნენ კოლეჯის ბაზაზე. პარალელურად კოლეჯში შესაძლებელია მუდმივად იყოს მაქსიმუმ 20 მსმენელი. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯს აქვს სულ 105 პირზე აღჭურვილი 2 AC, 1 B და 2 A გარემო, აქედან 1 AC გარემო 20 მსმენელისთვისაა გათვლილი. დარჩენილი 85 ადგილიდან - 20 B გარემოს ეკუთვნის. მაშასადამე, ერთდროულად ერთ ცვლაში შესაძლებელია 65 პროფესიული სტუდენტი განთავსდეს კოლეჯში. 2 წლის განმავლობაში ეს ციფრი ვერ გადააჭარბებს 130-ს ორ ცვლაში. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის კვოტა შესაძლებელია განისაზღვროს მაქსიმუმ 195 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა შეფასებით, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და ობიექტების დათვალიერების საფუძველზე, შესაძლებელია ერთდროულად 160 პროფესიული სტუდენტმა გაიაროს ფსიქიატრიის მოდული, ხოლო 200 პროფესიული სტუდენტი შეძლებს პრაქტიკის გავლას სხვადასხვა კლინიკაში. ასევე, 98 პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი წლიურად, ორ ცვლაში. პრაქტიკის ხელშეკრულებაში აღწერილია ხელშეკრულების პირობები, პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

რაოდენობა და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ: **1.** ჯანმრთელობის ეროვნულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 13.09.2022-დან 6 წლის ვადით. ობიექტი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ერთდროულად მიიღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად 40 პროფესიულ სტუდენტს. **2.** დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრთან (ევექსის ქსელი) ხელშეკრულება გაფორმებულია 05.05.2022-დან 6 წლის ვადით (9 მიმართულება, მათ შორის კრიტიკული მედიცინა, ონკოლოგია, ქირურგია) ობიექტი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ერთდროულად მიიღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად 80 პროფესიულ სტუდენტს. **3.** კლინიკა ბომონდთან ხელშეკრულება გაფორმებულია 28.04.2022-დან 6 წლის ვადით (19 მიმართულობა, მათ შორის პედიატრია). ობიექტი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ერთდროულად მიიღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად 40 პროფესიულ სტუდენტს. **4.** თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალურ ცენტრთან ხელშეკრულება გაფორმებულია 07.07.2022-დან 6 წლის ვადით (12 მიმართულება პედიატრიის, მეანობის და გინეკოლოგიის ჩათვლით). ობიექტი ბაზაზე პრაქტიკის განსახორციელებლად მიიღებს წლიურად 98 სტუდენტს. **5.** აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ცენტრთან ხელშეკრულება გაფრომებულია 20.10.2022-დან 6 წლის ვადით. ობიექტი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ერთდროულად მიიღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად 80 პროფესიულ სტუდენტს. **6.** ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან ხელშეკრულება გაფორმებულია 29.09.2021-დან 6 წლის ვადით. ობიექტი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ერთდროულად მიიღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგამის ფარგლებში ეტაპობრივად 80 პროფესიულ სტუდენტს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს 2 პრაქტიკის ობიექტი და გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს. პრაქტიკის ობიექტებს (ქუთაისის დიალიზის ცენტრი და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი) ერთდროულად შეუძლიათ ხელშეკრულებაში მითითებული პროფესიული სტუდენტის მიღება და ასევე მათი სურვილის შემთხვევაში დასაქმება კოლეჯის დასრულებისთანავე. მათი თქმით მოთხოვნა დიდია და პროფესიულ სტუდენტთა 80% საქმდება. ექსპერტთა შეფასებით, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შესაბამისი ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიიღებაა შესაძლებელი თითოეული პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდროულად და არა ეტაპობრივად ან წლიურად. **რეკომენდირებულია,** მოხდეს შეთანხმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის იმის შესახებ, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიიღებას შეძლებს თითოეული პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად და არა ეტაპობრივად ან წლიურად.

<u>დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ კოლეჯის დირექტორის 01.03.2023 N1-11 ბრძანებით დამტკიცდა გაუმჯობესების გეგმა, რომლის თანახმადაც კოლეჯი 1 თვეში მოახდენს წერილობით შეთანხმებას პრაქტიკის ობიექტებთან იმის შესახებ, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიიღება შეეძლება ერთდროულად თითოეულ პრაქტიკის ობიექტს. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ხარვეზი შესაძლებელია აღმოიფხვრას კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში (4/2/2023).</u>

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; სასწავლო გეგმებში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის დროს კოლეჯში მუშაობს 20 მასწავლებელი, 17 ინსტრუქტორი/ექთანი და სწავლობს 120 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტები დაინტერესდნენ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვით. მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავენ ყველა იმ მოდულის დასახელებას, რომლებიც განხორციელებაც შეუძლიათ მათ კომპეტენციიდან გამომდინარე, რადგანაც ისინი ექიმები არიან. თუმცა მათთან გასაუბრებით ექსპერტებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

დაადგინეს, რომ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი მოდულებიდან 2 მოდულს ისინი არ ახორციელებენ. ეს მოდულებია: კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია და გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 30 საათს ერთ ცვლაში. ორ ცვლაში დატვირთვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მათი დატვირთვა არ აღემატებოდეს კვირაში 40 საათს. ინსტრუქტორებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დიალიზის ცენტრი ორ ცვლაში მიიღებს პროფესიულ სტუდენტებს, დილის 9-დან 15 სთ-მდე და 15-დან 21 სთ-მდე.

3. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლებს და კლინიკური სწავლების განმახორციელებელ პირებს/ინსტრუქტორებს აქვთ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა შეფასებით, მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სფეროში მუშაობის სამუშაო გამოცდილება(ინსტრუქტორების შემთხვევაში მინ. 5 წელი), ასევე გავლილი აქვთ შიდა ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მერ. ექსპერტებმა შეისწავლეს მათი პირადი საქმეები, ასევე მოხდა ინსტრუქტორებთან გაესაუბა კლინიკურ ბაზაზე. მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინსტრუქტორების მიერ ხდება პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

სტუდენტების მიმაგრება პასუხისმგებელ ექთნებთან, რომლებიც მონიტორინგს უწევენ პროფესიულ სტუდენტებს. ინსტრუქტორებს შემუშავებული აქვთ საექთნო პრაქტიკის პროცედურული ჩეკლისტები, რომლის მიხედვითაც აფასებენ პროფესიულ სტუდენტებს, ხოლო საკვალიფიკაციო გამოცდა ხორციელდება როგორც კოლეჯში, ასევე კლინიკურ ბაზაზე კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთად. ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული სტუდენტების აღიცხვის ჟურნალები, ინსტრუქტორების მიერ პროფესიული სტუდენტის სამუშაო პროცესზე დაკვირვების ფურცლები, შეფასების ინსტრუმენტები და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის: კოლეჯის დირექტორის ბრძანება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, საკვალიფიკაციო გამოცდის უწყისი, საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები და გამოსაყენებელი ფორმები.

ექსპერტები ურჩევენ კოლეჯს, ყველა სპეციალობის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის, განსაკუთრებით ექიმების, გადამზადება მოხდეს „სიცოცხლისა ბაზისური ალგორითმის“ პროგრამის მიხედვით უსგ კრედიტების შესაბამისად.

4. ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; ექსპერტებმა შეისწავლეს მისი პირადი საქმე და მოახდინეს მასთან გასაუბრება. იგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ხელმძღვანელად დანიშნულია 2022 წლის 8 ნოემბერს. 2022 წლამდე პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნული იყო სხვა პირი, რომელიც ასევე იყო შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე. პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია კოლეჯში ანაზღაურებადია.

5. ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადაამოწმეს ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა, მათი შეფასებით პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, ასევე კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ მათ მიეწოდებათ საჭირო ელექტრონული სასწავლო მასალა და საჭიროებისამებრ სარგებლობენ კოლეჯის ბიბლიოთეკით.
6. კოლეჯში სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები არ სწავლობენ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მათ ექნებათ შესაძლებლობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯმა გაითვალისწინა ექსპერტების რჩევა, და კოლეჯის შესასვლელი კარი იმგვარად ადაპტირდა/მოეწყო პანდუსი, რომ ეტლით მოსარგებლე პირი შეუფერხებლად შეძლებს კოლეჯში შეღწევას და ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს სასწავლო რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

7. ექპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. (იხ. მეხუთე სტანდარტი.)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის ფაქტობრივი მდგომარეობით და შიდ აზომვითი ნახაზით;*
- *შპს სიოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;*
- *შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;*
- *პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანებით N3-27 08.11.2022;*
- *შპს სიო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;*
- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საექთნო საქმე";*
- *პროგრამის ბიუჯეტით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

- *დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*
- *კოლეჯის დირექტორის 01.03.2023 N1-11 ბრძანებით დამტკიცებული გაუმჯობესების გეგმა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს შემუშვებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. ექსპერტთა შეფასებით პროგრამაში ცვლილებები განხორციელებულია კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია: ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

ხარისხის განვითარების სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ; დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა; ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეისწავლეს პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ძირითადად კოლეჯის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ განხორცელებულია შიდა და გარე აქტორების გამოკითხვა. **(იხ. 2.1.1)**

ასევე, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები გაწერილია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, რომლის მიზანია: 1. შექმნას დაწესებულების ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას; 2. ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა. ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას. შიდა შეფასება -კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება და მიღებული შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვაა, ხოლო გარე შეფასება - ავტორიზაციისა პროცესში მიღებული შეფასებების (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); ასევე, შეფასების მიზნით მოწვეული ექსპერტების შეფასებები და შეფასების შედეგებზე რეაგირებაა მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

2. ექსპერტთა შეფასებით საანგარიშო პერიოდში პროგრამაში განხორციელებულია ცვლილება ჩარჩო-დოკუმენტის ცვლილებების შესაბამისად, ხოლო ბოლოს პროგრამის ცვლილება გამოიწვია პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილებამ. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება საჭიროებს შემდგომ განვითარებას კერძოდ, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ ჩატარებულია შიდა და გარე აქტორების გამოკითხვა თუმცა არ მომხდარა შედეგების გადამუშავება. **რეკომენდირებულია** კოლეჯმა დასახული მიზნების მისაღწევად მოახდინოს მიღებული უკუკავშირის შედეგების გაანალიზება და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირება, ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასება და მუდმივ გაუმჯობესება. მოხდეს გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, ანალიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის განვითარების სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა პირების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს სიოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით;*
- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საექთნო საქმე";*
- *შპს სიოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;*
- *კითხვარებით;*
- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და სასწავლო პროცესის მენეჯერს, შეისწავლეს პროგრამის სასწავლო გეგმა და მეცადინეობის ცხრილები. მათი შეფასებით პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.
2. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პრაქტიკის ობიექტებზე სასწავლო ცხრილი იგეგმება პროფესიულ სტუდენტებთან შეთანხმებით, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება თვითონ აირჩიონ სწავლების გრაფიკი(უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით), ასევე სურვილისამებრ იყვნენ ჩართულნი ღამის მორიგეობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

3. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე;
4. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორიც არის განმეორებით შედეგის დადასტურებაზე გასვლის შესაძლებლობა, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზება (თუ: პროფესიულ სტუდენტს აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, როდესაც რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს საწავლისა და შეფასებისას; პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს; პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ასევე ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში;) ექსპერტთა შეფასებით განმეორებით შედეგის დადასტურების და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების აუცილებლობა კოლეჯში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ დამდგარა.
5. ექსპერტთა შეფასებით საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტების შედეგის მიღწევა იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე. კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტთან. პრაქტიკის ხელშეკრულებაში აღწერილია ხელშეკრულების პირობები, პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. (იხ. 2.2.1)

6. პროგრამის თეორიული კომონენტი ტარდება კოლეჯის ბაზაზე, სადაც დაცულია უსაფრთხოების ნორმები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც კოლეჯში პერიოდულად ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მონიტორინგს, ატარებს შესაბამის ინსტრუქტაჟებს როგორც კოლეჯის პერსონალთან, ისე პროფესიულ სტუდენტებთან. რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, პროცესი ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებებში/კლინიკებში, რომლებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას იღებს პრაქტიკის ობიექტები. ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის 2 ობიექტი: ქუთაისის დიალიზის ცენტრი და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთი რეგიონალური ცენტრი. ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ აღნიშნულ ობიექტებზე დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საქართნო საქმე“;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

- *სასწავლო გეგმით;*
- *პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;*
- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;*
- *უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებით;*
- *სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;*
- *ფაქტობრივი მდგომარეობით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია (ბრძ.№3-07, 20.05.2020წ.) კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი. წესი მოიცავს შეფასების ინსტრუქციას, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას და ვერიფიკაციას. დოკუმენტი ასევე მოიცავს ინფორმაციას <u>შუალედური შეფასების</u> შესახებ. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები, მოახდინეს გასაუბრება სასწავლო პროცესის მენეჯერთან, რომელიც ჩართულია ვალიდაციის პროცესში. სასწავლო პროცესის მენეჯერი ასევე ჩართულია პროფესიული მომზადების პროგრამის ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესში.შეფასების ინსტურუმენტები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფეიულ სტუდენტებთან გასაუბრებით კი ექსპერტების მიერ დადგინდა, რომ მათ ინფორმაცია წინასწარ მიეწოდებათ შეფასების სისტემის შესახებ, აქვთ ინფორმაცია სწავლის შედეგების გადაბარების და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ. ასევე, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ექნებათ შუალედური შეფასება, რაც საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ ჩატარებულია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია მოწვეული ექსპერტის მიერ. ვერიფიკაციის შედეგების გათვალისწინებით კოლეჯის მიერ მოხდა შეფასების ინსტრუმენტების დაკორექტირება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, 2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯს 2022 წელს კოლეჯს დაგეგმილი ჰქონდა ვერიფიკაციის ჩატარება, რომელიც ვერ ჩატარდა. ხარისხის მენეჯერმა წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2023-24 წლის გეგმა, რომელშიც ვერიფიკაცია დაგეგმილია 2023 წლის მარტამდე. ექსპერტები ასევე დაინტერესდნენ ხომ არ იყო გაცემული შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს. 28.07.2020 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის N641238 ოქმში ექსპერტთა მიერ გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: სასურველია, სასწავლო პროცესის დაწყებამდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

მოხდეს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება ახლადშემუშავებული სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესის მოთხოვნების შესაბამისად და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, ასევე შეფასების პროცესი და შემდგომ ვერიფიკაციის პროცესიც აღნიშნული წესების დაცვით განხორციელდეს. ექსპერტთა შეფასებით, საანგარიშო პერიოდში კოლეჯის მიერ შესრულდა აღნიშნული რეკომენდაციები.

3. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შპს სიოს შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის და სხვა დაინტერესებული პირისთვის. კოლეჯის მიერ მტკიცებულება დაცულია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.
4. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები კოლეჯის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კუთხითაც. ასევე, კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების განხილვა ხდება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან მათი გაუმჯობესებოის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს სიოს პროფესიული პროფესიულ სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი;*
- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N1-04 25.01.2023 დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2023-24 სამოქმედო გეგმით;*
- *კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საქონო საქმე";*
- *შეფასების ინსტრუმენტებით;*
- *პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებით;*
- *კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**195**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

კოლეჯს სურვილი აქვს კვოტა გაიზარდოს 200 პროფესიულ სტუდენტამდე, მათი აზრით პირველ წელს შეძლებენ მიიღონ 60 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, მეორე წელს 60 სტუდენტი ერთ ცვლაში, ამავე დროს მეორე კურსელი 60 პროფესიული სტუდენტი მეორე ცვლაში გაივლის თეორიულ კურსს კოლეჯში, ხოლო მესამე წელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

მიიღებენ 80 პროფესიულ სტუდენტს.ექსპერტების აზრით 1,5 წლის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები იქნებიან კოლეჯის ბაზაზე, ამ პერიოდში კოლეჯში მუდმივად შესაძლებელია იყოს მაქსიმუმ 20 მსმენელიც. კოლეჯს აქვს ჯამში 105 პირზე გათვლილი 2 AC, 1 B და 2 A გარემო, აქედან 1 AC გარემო 20 მსმენელისთვისაა გათვლილი. დარჩენილი 85 ადგილიდან - 20 B გარემოს ეკუთვნის. მაშასადამე, ერთდროულად ერთ ცვლაში შესაძლებელია 65 პროფესიული სტუდენტი განთავსდეს კოლეჯში. 2 წლის განმავლობაში ეს ციფრი ვერ გადააჭარბებს 130-ს შემდეგი განაწილებით: პირველი კურსი პირველ ცვლაში, მეორე კურსი მეორე ცვლაში ან პირიქით. ექსპერტთა შეფასებით კვოტა შესაძლებელია განისაზღვროს მაქსიმუმ 195 პროფესიული სტუდენტით. თუმცა, პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფენ ბევრად მეტი პროფესიული სტუდენტის გამტარიანობას მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კერძოდ, ერთდროულად 160 პროფესიული სტუდენტი შეძლებს ფსიქიატრიის მოდულის გავლას, ხოლო 200 პროფესიული სტუდენტი შეძლებს პრაქტიკის გავლას სხვადასხვა კლინიკებში. დამატებით 98 პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი წლიურად.

XII. ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.თბილისი, 2023)

კოლეჯი არ ახორციელებს პროგრამებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

XIII. თანდართული დოკუმენტაცია სულ 26 ფურცელი

დანართები ცენტრში გაგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად.

13.03.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: